

**ზმნური მოდელების ტიპოლოგიისათვის ქართველურ ენებში  
(ვნებითი გვარის მოდელები საშუალო ქართულსა და მეგრულში)**

**მარიამ ღვინჯილია**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“*

**გამოყენებითი ენათმეცნიერება**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო დობორჯგინიძე;

თანახელმძღვანელი: რუსუდან გერსამია;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**თბილისი, 2019**

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

მარიამ ღვინჯილია

23.1.2019

## აბსტრაქტი

ქართული ზმნა რთული სტრუქტურული წარმონაქმნია და წარმოადგენს მორფოლოგიურად მარკირებული გრამატიკული კატეგორიების სიმრავლეს; საგულისხმოა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ზმნური გრამატიკული კატეგორიების ლინგვისტური ანალიზი სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი, ხშირად - წინააღმდეგობრივად კი. ერთ-ერთი სირთულე უკავშირდება გვარის კატეგორიის სწორად განსაზღვრასა და კლასიფიკაციას, რადგან გრამატიკული და შინაარსობრივი თვალსაზრისით ზმნების გვარსახეობრივმა დაყოფამ წამოშვა ბევრი გამონაკლისი, გამოკვეთა შეკითხვები გვარის კატეგორიის ტრადიციული ანალიზის მიმართ.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ვნებითი გვარის ზმნური მოდელების სტრუქტურულ-სემანტიკური და მორფოსინტაქსური ანალიზი საშუალო ქართულსა და მეგრულში, რათა გამოიკვეთოს საინტერესო ენობრივი ასპექტები, რომლებიც ნიშანდობლივია ორი ქართველური ენისათვის.

ნაშრომში ვნებითი გვარის მოდელების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი წარმოდგენილია ორი ერთმანეთთან შეპირისპირებული მიდგომით - ტრადიციული და ახლებური ინტერპრეტაციებითა და კლასიფიკაციებით; აღნიშნულ მსჯელობაში ვგულისხმობთ აკაკი შანიძის ძირითად დებულებას გვარის გრამატიკული კატეგორიის დეფინიციიდან ამოსვლით, რომელიც მორფო-სინტაქსურ-სემანტიკურ ნიშნებს ეფუძნება და დამანა მელიქიშვილის დიათეზების სისტემას, რომელიც მხოლოდ მორფოსინტაქსურ ანალიზს ეყრდნობა, ვინაიდან გვარის ანალიზისადმი სემანტიკური მიდგომა აჩენს არაერთ შეკითხვას თუ შეუსაბამობას ქართული ზმნის სისტემასთან მიმართებით.

ნაშრომის დასაწყისში ვიხილავ გვარის გრამატიკულ კატეგორიასთან დაკავშირებულ ძირითად კონცეფციებს ა. შანიძის, ა. ჩიქობავას, ბ. ჯორბენაძის, დ. მელიქიშვილის, თ. უთურგაიძის, მ. დამენიასა და სხვების მოსაზრებებზე დაყრდნობით, მეორე ნაწილში წარმოდგენილია უშუალოდ ზმნების ანალიზი ტრადიციული და დიათეზური სისტემების შეპირისპირებით; საშუალო ქართულისათვის ვემყარებით უკვე

ჩატარებულ კვლევას, კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომს „საშუალო ქართულის ზმნის მოდელირების საკითხები“ (ნ. ბილანიშვილი 2012), ანალიზი ეყრდნობა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურ გამოცემას.

„ვეფხისტყაოსანი“ შექმნილია XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, საშუალო ქართული ენის აქტიური ფუნქციონირების პერიოდში, ვინაიდან მასში ერთმანეთის პარალელურად გვხვდება ძველი და ახალი ქართულის ფორმები; ამ ტიპის ტექსტი კარგი შესაძლებლობაა, ერთი მხრივ, ქართული ენის განვითარების ორი ეტაპის ენობრივად შესადარებლად, განვითარების ტენდენციების საჩვენებლად, ასევე მასთან მეგრულის, როგორც ზეპირი, დამწერლობის არმქონე, ენის, მონაცემების შესადარებლად, გვარის გრამატიკული კატეგორიის ისტორიულად ჩამოყალიბების საერთო და განსხვავებული ენობრივი ტენდენციების გამოსაკვეთად.

მეგრულში ვნებითი გვარის ზმნების ანალიზი ეყრდნობა ი. ყიფშიძისა (1914) და მ. ლომია / რ. გერსამიას (2012) მიერ თითქმის საუკუნოვანი ინტერვალით გამოცემულ ტესტებში მოძიებულ მასალას.

დადგენილია ვნებითი გვარის ზმნური მოდელები, ერთი მხრივ, მეგრულისათვის და საკითხი გაანალიზებულია ტრადიციული და დიათეზური სისტემების შედარება-შეპირისპირებით, მეორე მხრივ, საშუალო ქართულისათვის შერჩეულია ზემოდასახელებული კვლევის ფარგლებში დადგენილი ზმნური მოდელები და აღნიშნული მონაცემები შედარებულია მეგრულის მონაცემებთან. აღნიშნული მასალა განსხვავებული ხედვით თვისებრივად და დახასიათებული და გაანალიზებული - გამოკვლეულია მორფოლოგიურად და სინტაქსურად. დიათეზების შემთხვევაში მორფო-სინტაქსური ანალიზი ერთობლივად მოცემული.

კვლევის გამოვიყენე დესკრიფციული, შედარება-შეპირისპირების, თვისებრივი ანალიზის, ლინგვისტური ანალიზის (სტრუქტურული, კონსტრუქციული, სემანტიკური) მეთოდები, საკითხისადმი ინდუქციური და დედუქციური მიდგომა.

პირველ რიგში, განვსაზღვრეთ საკვანძო ცნებები, დავამუშავეთ სამიზნე თეორიული ლიტერატურა, შევავროვე ეპირიული მასალა, მისი შემდგომი კლასიფიკაცია, ანალიზი და დასკვნები წარმოვადგინეთ წინამდებარე ნაშრომის კვლევით ნაწილში;

გვარის კატეგორიის, კონკრეტულად, ვნებითი გვარის თეორიული ანალიზი ჩვენეული ინტერპრეტაციით წარმოდგენილია შესავალში.

**შედეგებში** მოცემულია კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები; დადგენილია ვნებითი გვარის ზმნური მოდელები მეგრულში; ზმნები დახასიათებულია იმ ნიშნების მიხედვით, რომლებსაც აჩვენებენ დამოუკიდებლად და სხვა ენასთან მიმართებით, ვგულისხმობთ საშუალო ქართულისა და მეგრულის ვნებითი გვარის ფორმებს. მოცემული მოდელები გამოკვეთს ერთგვაროვნებას და, ბუნებრივია, სხვაობასაც ორი ენისა და ორი განსხვავებული სისტემის ფარგლებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დიათეზების თვალსაზრისით უფრო ერთგვაროვანი სურათი დაჩნდება, რადგან დიათეზა მხოლოდ გრამატიკულად განიხილავს ზმნას და აქ არ იჩენს თავს პრობლემური, ერთიდან მეორე დიათეზაში გარდამავალი სახეობები, ამდენად კლასიფიკაცია უფრო ზუსტი ჩანს; კვლევის შედეგები დეტალურად ავსახეთ ნაშრომის დასკვნით ნაწილში.

**საკვანძო სიტყვები:** გვარი, დიათეზა, ვნებითი, მორფოსინტაქსი, საშუალო ქართული, მეგრული.

## Abstract

Georgian verb is a difficult structural formation and represents a number of morphologically marked grammar categories. Linguistic analysis is presented in different ways in the scientific literature, often even contradictively. One of the main difficulty is linked with the correct definition and classification of grammar voice, because with content and grammar viewpoint, the division of verbal voices originated many exceptions, also many questions are found out towards traditional analysis.

The aim of the given master's workshop is---- the analysis of **Passive voice** verbal models in according to structural-semantic and morpho-sintaxis in mid-Georgian and Megrelian, in order to clear out interesting language aspects, which is worth for both Georgian languages.

Structural-semantic analysis of Passive voice is presented in this research --with contradictive approaches of traditional and new interpretations and qualifications. In given discussion, we mean----the main attitude of A. Shanidze-towards grammar voice, which is formed on morpho-sintaxis and semantic mark and it is based on the system of **diathesis** by Damana Melikishvili, which is based on only morpho-sintaxis analysis, because the semantic approach towards voice analysis forms many questions and incompatibility, based on the system of Georgian voice. In the beginning, main concepts are discussed based on the grammar categories, attitudes by Shanidze, Jorbenadze, Chikobava, Melikishvili, Damania and etc.

In the second part, the verbal analysis are presented, the analysis of contracting traditional and diathesis systems. We are based on the research, which was already held, exactly- master's work-“The subjects of Georgian verb modeling”-(N. BilaniSvili.2012). The analysis is based on the academic issue of “THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN”.

“THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN”- is formed on the verge of 12-13 centuries, during the active period of the functioning of Georgian language, because we meet new and old forms of Georgian at the same time, this kind of text is a good opportunity for linguistic comparison, for showing development tendencies, also with Megrelian, as a language without writing, to compare language data, in order to clear out common and different tendencies which are established historically.

The analysis in Megrelian is based on- the materials of Kipshidze(1914) and M.Lomaia/Gersamia(2012),which are issued with an interval of one century.

Verbal models of passive voice are presented, on one hand- for Megrelian, and the task is analysed with comparison and condradictability of traditional and diathesis systems, on the other hand-verbal models are selected for mid-Georgian.

The given datas are compared with the datas of Megrelian ,The material is is charecterised and analysed,it is searched morpholocically and syntaxically. In the case of diathesis,morho-sintaxic analysisi is given in complex.

It is used for search----the methods of description, comparison, contradiction, qualified analysis, linguistic analysis,inductive and deductive approaches.

First, key notions were defined, empirical materials were collected and its further classification.

Conclusions and analysis were presented in the final part of the research.Theory analysis of passive voice and voice category is given in the beginning.

In the results---- there are given the conclusions of the research,verbal model of passive voice is set in Megrelian,the verbs are charecterised by the types of other languages, we mean the forms of mid-Georgian and Megrelian passive.Given models reveal some kinds of peculiarities and the difference is natural in the case of two languages and different systems.

Though, we must say, that in the viewpont of diathesis, the picture will be more uniform, because diathesis discusses the verbs only grammatically and the problem appears---the transition types of one diathesis into another one. The classification seems to be wek,we discussed the details in the final part of the research.

#### **KEY WORDS:**

**Voice, diathesis, passive, morpho-sintaxi, semantic, Megrelian and mid-Georgian.**

## მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ ნინო დობორჯგინიძეს, ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის, განსაკუთრებით, საშუალი ქართული ენის დამუშავების ნაწილში, აგრეთვე, ემპირიული მასალის მოძიებისა და გაანალიზების კუთხით დახმარებისათვის. მადლობა მინდა გადავუხადო თანახელმძღვანელს, რუსუდან გერსამიას, მეგრულისა და ქართულის ლინგვისტური ანალიზისას გაწეული დახმარებისათვის, კონსულტაციებისა და საინტერესო რჩევებისათვის; ასევე, ძალიან საინტერესო იყო ორენოვან ტექსტებზე, შემდგომში ემპირიულ მასალად ქცეულ მოდელებზე მუშაობა, რომელთა მოძიებასა და სწორი მიმართულებით წარმოდგენაში დიდი ხელმძღვანელთა წვლილი.